

## სივრცის ორნამენტი კონსტრუქცია

(აღმოსავლეთი და დასავლეთი)

დასავლეთ ევროპის პლასტიკურ ხელოვნებას ახასიათებს შემდეგი წინადადება: „რელიეფი სულია მხატვრობისა“. ეს აზრი ეკუთვნის იმ ადამიანს, რომელმაც პირველად ჩამოაყალიბა იტალიის რენესანსის იდეა. ამით აღნიშნულია ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც აქვს ხელოვნებაში სივრცის განცდის გადმოცემას და ნაჩვენებია ერთი საშუალებაც ამ განცდის გამოსახატავად.

რელიეფით ირკვევა საგნის რეალური არსებობა სივრცეში. ამდგვარა დაკავშირება პლასტიკური ხელოვნებისა ბუნებასთან ერთი უმთავრესი მხარეა განსხვავებისა აღმოსავლეთის და დასავლეთის ხელოვნებათა შორის.

აღმოსავლეთის ხელოვნება ხასიათდება განყენებული ცნებით და ფორმებით. დასავლეთის ხელოვნება დამყარებულია კონკრეტულ და მატერიალურ ფორმებზე.

აღმოსავლეთის ხელოვნება მიილტვის მარადისაკენ, დასავლეთის – დროულისაკენ.

აბსტრაქტულ და სპირიტუალურ წარმოდგენას აღმოსავლეთისას წინააღმდეგება დასავლეთის კონკრეტული და მატერიალური აზრი.

აღმოსავლეთში ბუნება განყენებულ პროპორციებში და შესაძლებელი ფორმებით ისახება, დასავლეთში კი — ადამიანის მხედველობით და ინდივიდის განცდით იზომება.

აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნებისათვის ბუნების გადმოცემა იმ სახით, როგორც არსებობს, არასდროს არ ყოფილა მიზანი. დასავლეთის ხელოვნებისათვის კი ბუნება თვით არის მიზანი.

ხელოვნების ამ ორნაირ შინაარსს ახასიათებს ორი სხვადასხვა წარმოდგენა სივრცეზე. აღმოსავლეთი განიცდის სივრცეს განყენებულ ფორმებში, დასავლეთი კი — კონკრეტულ სახეებში.

ხელოვნება შემოქმედებაშია. ის ვითარდება მხოლოდ განყენებულად განცდილ სივრცეში. კონკრეტულ ფორმებში განცდილი სივრცე ხელოვნების განვითარებისათვის დამაბრკოლებელი ფაქტორია და შემოქმედება ამ პირობებში ვერ აღწევს წმინდა გამოხატულებას. ამის ნიმუშებს ბევრს იძლევა წარსული დროის ხელოვნება. აქ ჩვენ ვხედავთ, რომ კონკრეტულად განცდილ სივრცეზე დამყარებული ხელოვნება ვერ ანვითარებდა შემოქმედებას (რომაელების, ინგლისის და ამერიკის ხელოვნება) და მხოლოდ განყენებული წარმოდგენა სივრცეზე ხელოვნების განვითარებისათვის საუკეთესო ნიადაგი იყო. და არა ერთხელ ჩვენ ვხედავთ, რომ აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნების გავლენა დასავლეთ ქვეყნებზე გადამწყვეტი იყო ამ უკანასკნელთათვის.

პლასტიკური ხელოვნება, რომელიც დამყარებულია „trompe-l'oeil“\* სისტემაზე, ეკუთვნის დასავლეთ ქვეყნების გამოგონებას. ეს სისტემა გადმოსცემს კონკრეტულ ფორმებში სტატიკურ სივრცეს. ხაზებიანი პერსპექტივა არის ერთი ამდაგვარი საშუალება ამ სისტემის გადმოსაცემად. ის ჩვენ გვაყენებს უძრავ მდგომარეობაში, განსაზღვრულ დროში, განსაზღვრული სივრცის მიმართ.

„Trompe-l'oeil“ სისტემა სრულებით უცნობია აღმოსავლეთის ხელოვნებაში. ადამიანი, რომელიც განიცდის სივრცეს განყენებულ ფორმებში, ვერ დაკმაყოფილდება „trompe-l'oeil“ სისტემის წარ-

\* გამოსახულება, რომელიც რეალობის ილუზიას ქმნის.

მოდგენით. მისთვის სივრცის განცდა არსებითი მოთხოვნილებაა და ბუნებრივი გრძნობა. ამიტომ აღმოსავლეთის პლასტიკური ხელოვნება კონსტრუქტიული და მონუმენტურია. ის გადმოცემულია სივრცის განუსაზღვრელ მანძილსა და განუზომელ დროში.

არქიტექტურული ფორმებიც გამომდინარეობენ სივრცის ამ ორნაირი განცდიდან. აღმოსავლეთის ფორმები — მრგვალ და სპირალურ საზებში, დასავლეთის — პირდაპირ საზებში. აღმოსავლეთი სივრციდან გამოდის და ქმნის სივრცის ახალ სახეს. დასავლეთი კი ბუნების სივრცისაკენ მიისწრაფვის და მას ბაძავს. ნიმუშები: აღმოსავლეთში — კამარა, გუმბათი (კტესიფონის დარბაზი, აია-სოფია კონსტანტინებოლში) და სპირალური კოშკი (სამარა); დასავლეთში — გოთური წვეტიანი კოშკი. უფრო წარსულ ხანებში ეგვიპტე იძლევა განყენებული სივრცის ნიმუშებს, კლასიკური საბერძნეთი — კონკრეტული სივრცისას.

ხელოვნების დაქვეითების ხანა ხასიათდება სივრცის გადმოცემის თვისებების დაკარგვით და მატერიალური, ნატურალისტური ფორმებისაკენ მისწრაფებით.

ძლიერ დამახასიათებელია, რომ დასავლეთ ქვეყნებში ყოველთვის ვრძნობდნენ უპირატესობას აღმოსავლეთის ხელოვნებისას. აღმოსავლეთის ხელოვნება ყოველთვის იყო გამაცოცხლებელი და განმავითარებელი ფაქტორი დასავლეთის ხელოვნებისა. გოთური ხელოვნების „vitrage“, ქმნილება დასავლეთის ქვეყნის გენიისა, დამყარებულია აღმოსავლეთიდან მომავალ იდეაზე; ამ „vitrage“-ით იწურება გოთური არქიტექტურა. ვერსალის ბაღი, რომლითაც დამთავრებულია კონკრეტულ სივრცეზე აგებული არქიტექტურა, დამყარებულია სპარსეთის ბაღების გეგმაზე.

ჩვენს დროში ევროპა მდგომარეობით იძულებულია გააცოცხლოს და განავითაროს თავისი ხელოვნება საკუთარი ძალებით.

ახალი ხელოვნების საჭიროება ნაკარნახევია თვით ახლად გარ-  
დაქმნილი ცხოვრებით.

დღევანდელი ცივილიზაცია უნივერსალურია. ის არის არსებო-  
ბის მოთხოვნილება როგორც დასავლეთ ქვეყნებისათვის, ისე აღმო-  
სავლეთში. დღევანდელი აღმოსავლეთი უნდა ჩაერთოს ამ ცივილი-  
ზაციის საერთო მოძრაობაში იმ მოსაზრებით მაინც, რომელსაც  
ხშირად გამოსთქვამენ — ცხოვრების და ხელოვნების იდეალის გას-  
პეტაკებისათვის.

ხელოვნება დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებზე, ადგი-  
ლობრივ საჭიროებაზე და საზოგადოდ იმ ცხოვრების მდგომარეო-  
ბაზე, სადაც ის ვითარდება. ამიტომ ხელოვნებას აქვს ადგილობრივი  
სახე და ადგილობრივი ფორმები. ერთფეროვნება წინააღმდეგია ბუ-  
ნების არსებისა, მრავალსახიობა ცხოვრების საფუძველია. განყენე-  
ბულ ფორმებში ნაგრძნობი სივრცე — რომელშიაც ისახება სივრცის  
დინამიური განცდა — იძლევა განუსაზღვრელ მრავალფეროვნებას  
და ამიტომ ხელოვნება, დამყარებული ამ ახალ განცდაზე, მიაღწევს  
სრულ განვითარებას და ძალას.

1925 წ.

(ფრანგულად დაბეჭ. „Bulletin de  
l'Effort Moderne“, № 21).